

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №  
2022 წლის ---- ივლისი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 21/03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016377) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესი“-ს პირველი მუხლის 2.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობისთვის, არანაკლებ 20-წლიანი გამოცდილება;“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

#### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

##### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ვინაიდან გარკვეული პროფესიები საპენსიო ასაკს ითვალისწინებს ადრეულ ასაკში და მათ არ უგროვდებათ 30 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ სფეროში აქვთ მნიშვნელოვანი წარმატებები. გამომდინარე აქედან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილება ითვალისწინებს ცვლილებას და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის“ თანახმად: „დამსახურებული მოღვაწის წოდება შესაძლებელია მიენიჭოს პირს, რომელიც იმსახურებს საზოგადოების მხრიდან აღიარებას და მადლობის გამოცხადებას შესაბამის პროფესიულ სფეროში (დარგში) ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობისთვის, არანაკლებ 30-წლიანი გამოცდილებისა“ უნდა შემცირდეს და განისაზღვროს არანაკლებ 20 წლიანი გამოცდილებით.

##### ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვით დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის“-ს პირველი მუხლის 2.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ა) ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობისთვის, არანაკლებ 20-წლიანი გამოცდილება;“.

#### ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

#### ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

#### ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ადმინისტრაციის უფროსი

ნუკრი დეკანაძე